21
603/2ш/10923

ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

1 მარტი, პარასკევი, 1991 წ.
№ 37 (10 450) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ქართველები — მიუნხენის ტატაკზე

მიუნხენში დასრულდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში, რომელიც ჰიდაობის სამყაროში ფრიად მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს (იგი „ა“ კატეგორიისაა). გერმანიაში თავი მოიყარეს 28 ქვეყნის ათლეტებმა და ეს ტურნირი თავისი სიძლიერით, შეიძლება ითქვას, მსოფლიო ჩემპიონატს გაუტოლდა. საბჭოთა კავშირიდან ვაჟთა შეჯიბრებაში გამოდიოდნენ საქართველოს ძიუდოისტები (პარალელურად მიმდინარეობდა ასპარეზობა ქალთა შორისაც). ეს შეჯიბრება ჩვენი მოჰიდავეებისთვის იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ აქ უნდა გარკვეულიყო ევროპის ჩემპიონატში მონაწილეთა ვინაობა.

ორი პირველი და ერთი მესამე ადგილები — ასეთია ჩვენ ფალავანთა „ნადავლი“. მართლაც რომ ბრწყინვალედ იასპარეზა სოხუმელმა ვლადიმერ დგებუაძემ, რომელიც 71 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა: მან ხუთი ორთაბრძოლიდან ხუთივეში წმინდად გაიმარჯვა და ტურნირის ლაურეატის სახელი მოიპოვა. პირველი ადგილი დაიკავა ქუთაისელმა მძიმეწონისანმა დავით ხახალეიშვილმაც, რომელმაც ასევე ხუთი შეხვედრა ვადაზე ადრე, წმინდა გამარჯვებებით დაასრულა. თბილისელი ზაზა დაბრუნდაშვილი, რომელიც ასევე მძიმე წონაში ასპარეზობდა, მესამე ადგილზე გავიდა.

გულშემატკივართ უდავოდ აინტერესებთ სხვა მოჰიდავეთა შედეგები. ამირან ტოტიკაშვილი, მოგეხსენებათ, თბილისის საერთაშორისო ტურნირში ტრავმის გამო არ გამოსულა. ძიუდოში პირველ შეხვედრებს ტრადიციულად, მაღალი წონის მოჰიდავეები იწყებენ, გერმანიაში კი, ჩვენი სპორტსმენებისთვის მოულოდნელად, მასპინძლებმა განაცხადეს, რომ 60 კგ წონითი კატეგორია პირველსავე დღეს იჰიდავებდა. ამირანს ცოტა ზედმეტი წონა აღმოაჩნდა, ერთ დღეში ვეღარ მოასწრო წონის დაკლება და... 65 კგ წონაში მოუხდა ორთაბრძოლების ჩატარება. მან ოთხ შეხვედრაში კი გაიმარჯვა, მაგრამ, სამწუხაროდ, შემდეგ გამოეთიშა ასპარეზობას.

— კობა კურტანიძე გამოცდილი მოჰიდავეა, — გვითხრა საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა — რეალური კანდიდატია ევროპის ჩემპიონატში გამოსვლისა; მოვერიდეთ ზედმეტ დატვირთვას და აღარ ვაჰიდავეთ. გიორგი გაჩეჩილაძე პირველად იღებდა მონაწილეობას საერთაშორისო ტურნირში და, ალბათ, გამოუცდელობას უნდა მივაწეროთ მეორე შეხვედრაში მისი მარცხი. გურამ მოდებაძე კი პირველ შეხვედრას მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელთან ატარებდა და... მაჯების გადაწყვეტილებით, გამარჯვება გერმანელ მოჰიდავეს დარჩა.



დავით ხახალეიშვილი



ვლადიმერ დგებუაძე

ზაზა დაბრუნდაშვილი

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის განცხადება

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა საძმო თანდათან იზრდება. ეს, ერთი მხრივ, ჩვენში ახალი გამოცემების სიმრავლემაც განაპირობა. დღეს ძნელად თუ შეგხვდება გაზეთი ან ჟურნალი, რომელიც სპორტს და ფიზიკურ კულტურას შეძლებისდაგვარად არ უხდიდეს ხარკს. ეს არ შეიძლება არ გვახარებდეს.

განსაკუთრებით სასიხარულოა სპორტული პრესის ახალი ბირმოს — „სარბიელის“ დაბადება. ეს იმედს გვისახავს, რომ ახლო მომავალში ჩვენი სპორტული ჟურნალისტიკა, როგორც იტყვიან, მყარად დადგება ორ ფეხზე. ისე, როგორც ნებისმიერი დარგი, „ცენტრის“ დიქტატისგან და შეზღუდვებისგან არც საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია ყოფილა თავისუფალი: იზღუდებოდა ინიციატივა, მოჭრილი იყო უცხოეთთან დამოუკიდებელი კონტაქტების გზები.

მალე ერთი წელი შესრულდება, რაც საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ ცალსახად გამოხატა თავისი დამოკიდებულება „ცენტრთან“. მას შემდეგ, რაც იტალიაში მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატზე საქართველოს ჟურნალისტებისთვის გამოყოფილი ადგილები მოსკოვმა უკან წაიღო, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ საკავშირო ფედერაციას კატეგორიული პროტესტი განუცხადა და აცნობა, რომ ამიერიდან საერთოდ ხელს იღებდა მასთან ურთიერთობაზე; ჩვენი ფედერაციის თავმჯდომარემ კი, პროტესტის ნიშნად, შეწყვიტა საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმის წევრის უფლებამოსილება. ჩვენი პოზიციის და გადაწყვეტილების შუუვალობა იმითაც დავადასტურეთ, რომ შარშანდ მონაწილეობა არ მივიღეთ საკავშირო ფედერაციის ახალ არჩევნებში. იმ კონფერენციას, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისგან განსხვავებით, ჩვენი ზედამხედველიც არ ესწრებოდა.

ცხადია, ახალი არჩევნების დროს საქართველოს წარმომადგენელი პრეზიდიუმის შემადგენლობაში აღარ შეიყვანეს. დამოუკიდებლობის გზაზე დადგომა არ ჩაგვითვლია განსაკუთრებულ გმირობად და საქართველოს ფართო საზოგადოებრიობისათვის პრესის საშუალებით ამ ნაბიჯის თაობაზე საქვეყნოდ არ გვიცნობებია. უბრალოდ, ეს საჭიროდ არ ჩავთვალეთ. ეს იყო და ეს. ჩვენს რესპუბლიკაში გამართულ კომპლექსურ სპორტულ შეჯიბრებებზე თუ ტურნირებზე ამის შემდეგ აღარ ჩამოსულა ცენტრალური პრესის არც ერთი წარმომადგენელი. მიუხედავად არაერთგზის მოწვევისა, არ ჩამოდიან უცხოელი ჟურნალისტებიც, რომლებიც ჯერჯერობით მხოლოდ საკავშირო სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის თხოვნას მიიჩნევენ ოფიციალურ მიწვევად. თუმცა, ჩვენი მხრიდან, მაინც გადაიდგა მოკრძალებული ნაბიჯი სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციასთან პირდაპირი ურთიერთობის დასამყარებლად. შემუშავებულია დამოუკიდებელი ფედერაციის წესდების პროექტი. ასეთია რეალური ვითარება. დამოუკიდებლობის გზით კვლავაც ვივლით, მაგრამ, მართლაც აუცილებელია სპორტულ ჟურნალისტთა საძმოს ერთიანი ძალისხმევა, რათა საბოლოოდ მივაღწიოთ მიზანს. სწორედ რომ საშური საქმეა ფედერაციის განახლება ჯანსაღი ძალებით, შეკავშირება, ერთმანეთის თანადგომა. როგორც გაზეთი „სარბიელი“ აღნიშნავდა, საჭიროა „იურიდიული პირის უფლებებით აღჭურვილი ფედერაციის არსებობის აუცილებლობა“.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის უფლებამოსილების ვადა მიმდინარე წლის აპრილში იწურება. ასე რომ, მოახლოვდა ახალი კონფერენციის ჩატარების თარიღი. დამოუკიდებელმა და იურიდიულმა ორგანიზაციამ, უთუოდ ახალი გეზი უნდა მისცეს საქართველოში სპორტული ჟურნალისტიკის განვითარებას, გადაჭრას ჩვენი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე პრობლემები.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია.

ყმაწვილები რიგში დგანან...

დიახ, რიგში დგანან მომავალი ჩემპიონები და პრიზიორები, სახელოვანი ქართული საჰადაო სკოლის წარმომადგენლები, ისინი, ვინც დღეს ფრთიანდებიან.

ჩვენმა ჭაბუკმა სამბისტებმა ხუთი პირველი და სამი მეორე ადგილი დაიკავეს 16 ნაკრები გუნდის 236 წარმომადგენელთან პაექრობაში გომელში ამ დღეებში გამართულ ტრადიციულ საკავშირო ტურნირში. საქართველოს სახელით მხოლოდ პროფკავშირების ოლიმპიური რეზერვების ჰიდაობის სკოლის აღსაზრდელები გამოდიოდნენ.

ზოგიერთ წონით კატეგორიაში გამოდიოდნენ უკვე ტიტულოვანი ჭაბუკები, მსოფლიო ჩემპიონებიც კი. მით უფრო სასიხარულოა, ქართველ სამბისტთა წარმატება. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი თბილისელმა გიორგი კოვზირიძემ (75 კგ). ასპარეზობის მასპინძელი ქალაქისა და ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი მოჰიდავე მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი ი. ტრუბჩენკო გიორგიმ ჯერ ქვეჯგუფში დაამარცხა, მერე ფინალში. გამარჯვებულის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დადგნენ აგრეთვე დ. პაპინაშვილი (42, კასპი), შ. გოჩალეიშვილი (52), ლ. ალფაიძე (56), ნ. ნიკოლაძე (+97, სამეგრელო — ქუთაისი), მეორე ადგილზე გავიდნენ მ. ქვარიანი, ი. ამირეზაშვილი და თ. ჩუბინიძე (სამეგრელო — თბილისი).

გუნდი მოამზადა მწვრთნელმა თ. გოგოჭურმა.

თორნიკე ბაძრაძე

მკითხველი — გაზეთი

რატომ არ იქმნება დამოუკიდებელი საჰადრაკო ფედერაცია?

ერთი პერიოდი დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა იმის თაობაზე, შეიქმნებოდა თუ არა საქართველოს ჰადრაკის დამოუკიდებელი ფედერაცია. იქნებ განგვიმარტოთ, რა ლონისძიებები ტარდება ქართული საჰადრაკო სკოლის დამოუკიდებლობისთვის?

ნოდარ გელაშვილი,
თბილისი.

აი. რა გვიპასუხა საჰადრაკო ფედერაციის სახელით, საქართველოს სპორტსაჯიმოს ჰადრაკის განყოფილების გამგემ, დიდოსტატმა ბუხუტი გურგენიძემ: „საკითხი უკვე გადაწყვეტილია — 8 მარტს თბილისში, ჰადრაკის სასახლეში, 15 საათზე დანიშნულია დამოუკიდებელი ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა. იმავე დღეს დაფუძნდება საქართველოს პროფესიონალ მოჰადრაკეთა ასოციაცია“.

ეს-ესაა შევიტყვეთ...

ლარი ბიორდი „ფორმაში შედის“

ნბა-ს კალათბურთელთა პროფესიული ლიგის ერთ-ერთი „ვარსკვლავი“, „ბოსტონ სელტიქსის“ 34 წლის ლიდერი ლარი ბიორდი ტრავმის შემდეგ „ფორმაში შედის“. ბოლო სამ მატჩში მან თავის კოლექტივს მხოლოდ 17 ქულა შესძინა, გუშინწინ, „მინესოტასთან“ ორთაბრძოლაში კი 35 ქულა მოაგროვა.

სხვა კალენდარული მატჩები დამთავრდა ასე:

„მინესოტა“ — „ბოსტონი“ 111:116. სნაიპერები: კემპბელი — 33, მიჩელი (ორივე — „მინესოტა“) — 26, ბიორდი — 35, პერიში (ორივე — „ბოსტონი“) — 23.

„ატლანტა“ — „ფილადელფია“ 108:107. სნაიპერები: უილკინსი — 26, რივერსი (ორივე — „ატლანტა“) — 20, ჯილიამი — 26, ჰოკინსი (ორივე — „ფილადელფია“) — 22.

„დალასი“ — „ინდიანა“ 108:104. სნაიპერები: ინგლიში და ბლეკმანი (ორივე — „დალასი“) — 21-21; პირსონი — 24, შრემპფი (ორივე — „ინდიანა“) — 20.

„შარლოტა“ — „საკრამენტო“ 96:90. სნაიპერები: რიდი და ნიუმანი (ორივე — „შარლოტა“) — 18-18.

„იუტა ჯაზი“ — „გოლდენ სტეიტი“ 118:103. სნაიპერები: მელოუნი („იუტა“) — 38, მალინი („გოლდენ სტეიტი“) — 28,

„ორლანდო“ — „ფინიქსი“ 124:116. სნაიპერი: სკაილსი („ორლანდო“) — 22.

გათამაშების ცხრილები

ატლანტის დივიზიონი

	მ.	წ.	%
„ბოსტონი“	40	15	727
„ფილადელფია“	30	24	556
„ნიუ-იორკი“	25	31	446
„ვაშინგტონი“	22	34	393
„ნიუ-ჯერსი“	18	37	327
„მაიამი“	16	39	291

ცენტრალური დივიზიონი

„ჩიკაგო“	40	14	741
„დეტროიტი“	37	20	649
„მილუოკი“	35	21	625
„ატლანტა“	31	24	564
„ინდიანა“	25	29	463
„კლივლენდი“	20	36	357
„შარლოტა“	16	38	296

შუა-დასავლეთის დივიზიონი

„სან-ანტონიო“	35	17	673
„იუტა“	35	18	660
„ჰიუსტონი“	32	23	582
„დალასი“	20	33	377
„მინესოტა“	18	36	333
„ორლანდო“	18	36	333
„დენვერი“	15	39	278

წყნარი ოკეანის დივიზიონი

„პორტლენდი“	44	12	786
„ლ-ა ლეიკერსი“	40	15	727
„ფინიქსი“	36	18	667
„გოლდენ სტეიტი“	29	25	537
„სიეტლი“	26	28	481
„ლ-ა. კლიპერსი“	18	36	333
„საკრამენტო“	15	38	283

კიდევ ერთი „ვარსკვლავი“

ჩიკაგო. აქ მიმდინარე ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის — „ვოლვო ტენისის“ მეორე ტურში, რომელიც 27 თებერვალს გაიმართა, ამერიკული ჩოგბურთის ამომავალმა „ვარსკვლავმა“, მიჩიგანის უნივერსიტეტის სტუდენტმა მალივაი ვამინგტონმა ერთ საათსა და 26 წუთში დაამარცხა მესამე ნომრად განთესილი საკმაოდ ძლიერი ჩეხოსლოვაკიელი ჩოგბურთელი პეტრ კორდა 6:4, 7:6.

ამ დღის სხვა შეხვედრები დამთავრდა ასე: რიჩი რენებერგ — დევიდ პეიტი (ორივე— აშშ) 6:3, 7:6, უდო რიგლევსკი (გერმანია — ველი პალოჰეიმი (ფინეთი) 7:6, 6:3, ალექსანდრ მრონეკი (გერმანია) — გერი მიულერი (აშშ) 7:6, 6:3, ჯონ მაკენროუ (აშშ) — რამეშ კრიშნანი (ინდოეთი) 7:5, 6:3, ხაიმე იაზაგა (პერუ) — კევინ კარენი (აშშ) 6:1, 3:6, 6:4.

ბრძოლას აგრძელებს „ევერტონი“

ინგლისი საფეხბურთო ასოციაციის თასის გათამაშების მეხუთე წრის საპასუხო მატჩში, რომელიც გუშინწინ ლივერპულში გაიმართა, ერთმანეთს შეხვდა ორი ადგილობრივი გუნდი — „ლივერპული“ და „ევერტონი“. ერთადერთი გოლი, რომელმაც გადაწყვიტა მატჩის ბედი, ევერტონელმა დეივ უოტსონმა გაიტანა — 1:0.

ვინაიდან ამ გუნდების პირველი შეხვედრა ფრედ (0:0) დამთავრდა, თასის შემდგომ ეტაპზე თამაშის უფლება „ევერტონმა“ მოიპოვა.

(ბაკუთარი ინფორმაცია).

სპორტის უჩინარი მსახური

„ჩემი დანაშაული ის იყო, ცუდ დროს ვაკეთებდი სასიკეთო საქმეს“...

მიხეილ ლაზიშვილთან სპორტის უჩინარ მსახურებზე ფიქრმა მიგვიყვანა. დიდხანს ვათვალიერე წარსული პუბლიკაციები ამ რუბრიკით. წლების განმავლობაში ვცდილობდით არ გამოგვრჩენოდა ვინმე, ვინც ქართულ სპორტს ჩუმად და უპრეტენზიოდ ემსახურებოდა, მაგრამ არაფერი გვითქვამს მათ შესახებ, ვინც ქართველ სპორტსმენებს მხარში ედგა და ამხნევებდა, ვინც ჩვენს გამარჯვებებს ხელს უწყობდა, ვინც უძრაობის პერიოდში ერისთვის საკეთებელ საქმეს სპორტსმენთა და ხელოვანთა დაკვლიანებაში ხედავდა, და ვინც კულისებს მიღმა მაინც „ავისმქნელად“ დარჩა. მაშინ სხვა დრო იყოო, ვიტყვით, თუმცა, სიკეთეს განსაკუთრებული დრო და ჟამი, მოგეხსენებათ, არ სჭირდება, მეცენატეობის ინსტიტუტი ანეკური ჩინიდან მომდინარეობს და მას შემდეგ ამაზე ამაღლებული საქმიანობა, იშვიათად, ადამიანს ეკეთებინოს, რა თქმა უნდა, თუ კაცი იყო.

დღეს უკვე თამამად ვსაუბრობთ სპონსორობაზე, თავად მოვუწოდებთ „ძლიერთა ამა ქვეყნისთა“ სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად, სასიკეთო საქმის მატერიალური პრობლემის მოსაგვარებლად და, სამწუხაროდ, არ ვიხსენებთ იმ ხალხს, ვინც სამოცდაათწლიანი განუკითხაობის მძიმე წლებში შეძლო კაცად დარჩენილიყო და კაცური საქმე ეკეთებინა. ჩვენი რუბრიკის მიზანიც ვალის მოხდაა მათ მიმართ, და კიდევ სურვილი იმისა, რომ მეოხის ინსტიტუტი კვლავ აღორძინდეს საქართველოში, რადგან, თუ სლავა მეტრეველი მსოფლიომ ქართველ ფეხბურთელად გაიცნო, თუ მიხეილ მესხის ფინტებმა მსოფლიო მოხიბლა, თუ გივი კარტოზიამ ჰიდაობის მოყვარულთ თავი დაამახსოვრა და ქართველი კაცის უძლეველობის სახელი მსოფლიო სარბიელზე გაიტანა, ამაში ღომის წილი მიშა ლაზიშვილსაც მიუძღვის. იმ წლებში სხვაგვარად არ შეიძლებოდა — ამბობს ახლა ბატონი მიხეილი — საქართველოს სპორტით და ხელოვნებით თუ გაიცნობდა მსოფლიო, სხვა ყველა გზა მოჭრილი იყო. სპორტი ბავშვობიდან მიყვარდა, განსაკუთრებით ფეხბურთი, ამიტომ ვაბანდებდი ჩემი შემოსავლის ნაწილს მასში.

● სამაგიეროდ რას იღებდით?

— სლავა მეტრეველის თამაშით „დინამოს“ სტადიონზე მოსული მაყურებელი რომ ხარობდა, მე ის მიხაროდა, იმაზე დიდი საზღაური რა უნდა ყოფილიყო?!

● თქვენი ქველმოქმედების მაღლიერი თავად ბატონი სლავაც გახლავთ. ამახსენებდეთ ინტერვიუში აღნიშნა კიდეც თქვენი დამსახურება მის სპორტულ ბიოგრაფიაში...

— სლავას გადმობირებას ორი წელი დასჭირდა. პირველად შოთა შავგულიძე და ირაკლი ნემსაძე ჩავიდნენ მოსალაპარაკებლად, მაგრამ სასტიკი უარით გამოისტუმრეს მეტრეველებმა. ჩვენ, რა თქმა უნდა, განვიცდიდით, რატომ უნდა დაეცვა ქართველს რუსული გუნდის ღირსება. მისი გადმოყვანის სურვილი იმდენად დიდი იყო, შემთხვევას არ ვუშვებდით ხელიდან, რათა მის ოჯახს დავახლოვებოდით და მისი უტეხი მეუღლე, ქალბატონი ტანია მოგველბო. იმ პერიოდში საქსოვი ფაბრიკის დირექტორი ვიყავი, მოსკოვში ხშირად მიხდებოდა შავლინებით ჩასვლა და ყოველთვის მეტრეველებს მოვინახულებდი ხოლმე. ტანია კვლავ უარზე იდგა, სლავას კი მეუღლის გარეშე თბილისში გადმოსვლაზე ფიქრიც არ შეეძლო.

1962 წელს თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდი ჩემპიონთასზე ცსკა-ს ეთამაშებოდა. სიგარეტის ბოსაწევად ფოიეში გავედი, ვხედავ, ტანიას და სლავას შემოსვლა უნდათ და მილიციელები არ უშვებენ. სასწრაფოდ ოთარ ქორქიასთან მივედი და მოსაწვევები ვთხოვე (შემოსვლა მხოლოდ მოსაწვევებით იყო), შემოვიყვანე და „უტეხ ქალბატონს“ განვუმარტე — თბილისში რომ იყოთ, ხელში აყვანილს შემოგიყვანდნენ, აქ კი, ხომ ხედავთ, კაციშვილი არ გაფასებთ და შიგნითაც არ გიშვებენ-მეთქი. ამან ცოტა მოტეხა ქალი, მერე მეგობრებმაც აუბეს ძახი, გადადით თბილისში, იქ კარგად იცხოვრებთო. დავითანხმეთ, როგორც იქნა, მაგრამ ახლა გუნდის თანხმობა იყო საჭირო. სლავამ მთხოვა, იქნებ სამი-ოთხი კაცი რესტორანში დავპატიჟოთ და მოვალბოთ, ადვილად რომ გამომიშვანო. „არაგვში“ დავპატიჟე მთელი გუნდი. როგორც კი მეტრეველის გადმოყვანაზე ჩამოვარდა საუბარი, ვალერი ვორონინმა სლავას მიმართა: რატომ ყოყმანობ, მე ვინშემ რომ შემომთავაზოს თბილისში გადასვლა, უყოყმანოდ დავთანხმდები, იქ იციან კარგი სპორტსმენის დაფასება და პატივისცემაო. ასე გადაწყდა „განდგომილის“ დაბრუნების საკითხი. თუმცა, ტანიამ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება მოითხოვა. იმ ღამესვე დავურეკე მაშინდელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სპორტის განყოფილების ხელმძღვანელს სერგო ტაბატაძეს, რომელიც დაგვპირდა სამოთახიან ბინას ყოფილ კამოს ქუჩაზე. ამ დროისთვის უკვე ამერკავკასიის მეტალურგმშენის სამმართველოს უფროსი ვიყავი და ჩვენმა ტრესტმა მეტრეველების ბინას საუკეთესო რემონტი გაუკეთა. არ შეიძლება არ გავიხსენო ამერკავკასიის სპეცმშენის სამმართველოს უფროსი დავით ცერცვაძე, რომელიც აქტიურად ჩაება ამ კარგ საქმეში. სამადლობელი კი ისიცაა, რომ დღესაც მლოცავს. ცოლ-ქმარი. წარმოიდგინეთ, სლავა რომ რუსეთში დარჩენილიყო, ის ბედი ელოდა, რაც სტრელცოვს და ბევრ მის თანაგუნდელს. საწყალი სტრელცოვი ციხიდან რომ გამოვიდა, ფეხბურთის თამაში აკრძალული ჰქონდა და ჰოკეიში ვარჯიშობდა; მთხოვა, იქნებ მეც წამიყვანოთ თბილისშიო.

● მაგრამ ეს ხდებოდა მაშინ, ხანამ ეხა თუ ის კაცი სპორტს სჭირდებოდა. სამოყვარულო სპორტის პირობებში ვეტერანი ყოველთვის დაბნეული იდგა ახალი ცხოვრების ზღურბლზე, უკან სიხსნლსავსე სპორტული ცხოვრება იყო, წინ — არაფერი. წლების განმავლობაში ასე ხდებოდა...

— მართალი ბრძანდებით. მაშინ არც მატერიალური დაინტერესება იყო. სამაგიეროდ, პატრიოტიზმი უფრო მეტი ჰქონდათ სპორტსმენებს. მახსოვს, გივი კარტოზიას ერთ-ერთ მსოფლიო ჩემპიონატზე კენჭისყრით ერთ საღამოს ოთხჯერ უნდა ეჰოდავა. პირველი ორი ბრძოლა ადვილად მოიგო, მესამისათვის უკვე საკმაოდ დაღლილად გრძნობდა თავს, მაგრამ ქალიშვილი დაიფიცა, მაინც მოვიგებ ამ ორთაბრძოლასო. მეოთხე ჰიდაობის წინ საბრძოლველად გასვლაზე უარი განაცხადა, ქანცი ჰქონდა გაწყვეტილი. ნაკრების ერთ-ერთმა წევრმა — ვალენტინ ნიკოლაევმა უთხრა: აკი ამბობენ, ქართველები მშიშრები არიანო. გამწარდა გივი. ხალიჩაზე გასვლის წინ დაიფიცა, საქართველო გაპარტახებული დამხვდეს, თუ ამ რუსის სიტყვები გავამართლო და ბრძოლაში დავმარცხდეო. ორ წუთში ბეჭებზე გააკრა მოწინააღმდეგე და მეორედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. სამაგიეროდ, ასეთი ფალავანი თხუთმეტი წლის განმავლობაში უმუშევარი დადიოდა და კაციშვილი არ კითხულობდა, რითი არჩენდა ოჯახს. თუნდაც ქართული ფეხბურთის ლეგენდა ბორის პაიჭაძე მოვიგონოთ. აქტიური სპორტს რომ ჩამოშორდა, ლაბადით დადიოდა, პალტო არ ჰქონდა.

...გივი კარტოზიას ცხოვრება გაგიხსენოთ, უდავოდ, ნიჭიერი ფალავანი იყო, ეგაა, მამა ჰყავდა პოლიტპატიმარი და გარკვეულად ამის გამო იჩაგრებოდა. ერთხელ ყოფილმა კალათბურთელმა, სპორტკომიტეტის თანამშრომელმა შოთა ახვლედიანმა გამანდო: ჰიდაობაში ახალი ამომავალი ვარსკვლავი იზრდება და პატრონი სჭირდებაო. იმ დღიდან გივის დავუახლოვდი, ვცდილობდი, ყოველთვის მის გვერდით ვყოფილიყავი, ვარჯიშისა და დასვენების ნორმალური პირობები შევქმნა. რა დასაბალია, და, გივის, როგორც ყველა ქართველს, „ქეიფი“ უყვარდა, ამიტომ, სულ უკან დავდევდი, რომ ხელი შემშალა მისთვის. ზოგ გულშემატკივარს ჰგონია, თუ მის საყვარელ სპორტსმენს კარგად აქეიფებს, სასიკეთო საქმეს გაუკეთებს. ის კი არ იციან, რომ ამით სპორტსმენის რეჟიმი ირღვევა. გივის ერთი კარგი თვისება ჰქონდა — რეჟიმს თუ დაარღვევდა, სამაგიეროდ, უშუალოდ შეჯიბრების წინ, ღუმას არ ჩაიდებდა პირში. საოცრად ნებისყოფიანი ხდებოდა ამ დროს. გვიყურებდა, ჩვენ როგორ მივირთმევდით, თვითონ კი პატარა პურს მაწონში ჩაასველებდა და იმას წუწნიდა. ასე იკლებდა წონას.

ერთხელ, მსოფლიო პირველობის წინ, მოჰდადევები ალუშტაში იმყოფებოდნენ შეკრებაზე. გივის მამისათვის წერილი მოუწერია — არც ხილია, არც ყურძენი წვენი და არც ბოსტნეული, იქნებ გამომიგზავნოთო. ერთი კვირის შემდეგ ოთხი დიდი ყუთი გავავსეთ ხილითა და ქართული ნუგბარით და წავედით ალუშტაში. ერთ დღეში დაარიგა კეთილმა ფალავანმა ყველაფერი. მე და მამამისმა ვუსაყვედურეთ — ბიჭო, ერთი დღისთვის გამოგვატარე ამხელა გზაო.. დაუფიქრებლად მოგვიგო: აქ მარტო მე ხომ არა ვარ, იმათაც მონატრებული ჰქონდათ ეს ყველაფერიო.

ყველაზე მეტად მაშინ დაიჩაგრა გივი, 1952 წელს ოლიმპიადაზე რომ არ წაიყვანეს. შერჩევით ტურნირში ბელოვთან შეხვედრა ჩვენმა ფალავანმა მოიგო, მაგრამ მაშინ საკავშირო ნაკრებს სათავეში ქართველი ედგა, რომელმაც უპირატესობა რუსს მიანიჭა. კარტოზია რომ წავიყვანონ ოლიმპიადაზე, ვაითუ, ვერ გაიმარჯვოს, შემდეგ ხომ ნაციონალისტობას დამწამებენო. ბელოვმა კი ვერ გაამართლა ნაკრების ხელმძღვანელთა იმედები.

● მსგავსი შემთხვევები ფეხბურთშიც ხშირად ყოფილა. ქართულ ფეხბურთს ტალანტებს რა გამოუელევდა, ნაკრებში კი, თუ ათი თავით მაღლა არ იდგნენ თავიანთ კონკურენტზე, დიდ სარბიელზე გამოსვლაზე ოცნებაც არ შეეძლოთ. მსჯელობისგან ხომ საერთოდ სიცოცხლე გვქონდა გამწარებული. ბევრჯერ გვყოლია ძლიერი და ტალანტიანი კოლექტივები, მაგრამ ჩემპიონობას მხოლოდ ორჯერ მივაღწიეთ, თანხის ფინანსებიც წაგვაგებინეს.

— არც უმაგისობა იყო, ამიტომ, იძულებულნი ვიყავით, ზოგჯერ მუქარით, ზოგჯერ დაყვავებით, ხანაც საჩუქრით მოგველობ მსჯი. რას გულისხმობდა ეს? არ დაეჩაგრათ ჩვენი „დინამო“ და ობიექტურად ემსჯათ. თუ მსჯი ისეთი გამოდგებოდა, რომ მისი რესპუბლიკის გუნდიც ჩვენსავით „ცენტრის“ დაწოლის გამო იჩაგრებოდა, ჯავრს იმით იყრიდა, ცოტათი ქართველებისკენაც გადმოიხრებოდა ხოლმე.

ერთ შემთხვევას გიამბობთ: ქუთაისის „ტორპედო“ რომ პირველად უმაღლეს ლიგაში გადავიდა, მაშინ სამ გუნდს შორის გამარჯვებულს

1961 წელი. კიშინიოვის სტადიონი. უმაღლეს ლიგაში გადახასვლელ ტურნირში ქუთაისელმა ფეხბურთელებმა ეს-ეს არის ტალინის „კალევი“ დაამარცხეს... ტრიბუნაზე ხხედან (პირველ რიგში, მარცხნიდან): სახელმწიფო მწვრთნელი დავით ცომაია და სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ თავმჯდომარე თენგიზ კაპანაძე. მეორე რიგში — „ლელოს“ კორესპონდენტი ბიჭიკო ქორქია, მხახიობი ეროხი მანჯგალაძე, ფურნალისტი ბაკურ ბახტურიძე და მიხეილ ლაზიშვილი.

ფი“ უყვარდა, ამიტომ, სულ უკან დავდევდი, რომ ხელი შემშალა მისთვის. ზოგ გულშემატკივარს ჰგონია, თუ მის საყვარელ სპორტსმენს კარგად აქეიფებს, სასიკეთო საქმეს გაუკეთებს. ის კი არ იციან, რომ ამით სპორტსმენის რეჟიმი ირღვევა. გივის ერთი კარგი თვისება ჰქონდა — რეჟიმს თუ დაარღვევდა, სამაგიეროდ, უშუალოდ შეჯიბრების წინ, ღუმას არ ჩაიდებდა პირში. საოცრად ნებისყოფიანი ხდებოდა ამ დროს. გვიყურებდა, ჩვენ როგორ მივირთმევდით, თვითონ კი პატარა პურს მაწონში ჩაასველებდა და იმას წუწნიდა. ასე იკლებდა წონას.

ერთხელ, მსოფლიო პირველობის წინ, მოჰდადევები ალუშტაში იმყოფებოდნენ შეკრებაზე. გივის მამისათვის წერილი მოუწერია — არც ხილია, არც ყურძენი წვენი და არც ბოსტნეული, იქნებ გამომიგზავნოთო. ერთი კვირის შემდეგ ოთხი დიდი ყუთი გავავსეთ ხილითა და ქართული ნუგბარით და წავედით ალუშტაში. ერთ დღეში დაარიგა კეთილმა ფალავანმა ყველაფერი. მე და მამამისმა ვუსაყვედურეთ — ბიჭო, ერთი დღისთვის გამოგვატარე ამხელა გზაო.. დაუფიქრებლად მოგვიგო: აქ მარტო მე ხომ არა ვარ, იმათაც მონატრებული ჰქონდათ ეს ყველაფერიო.

ყველაზე მეტად მაშინ დაიჩაგრა გივი, 1952 წელს ოლიმპიადაზე რომ არ წაიყვანეს. შერჩევით ტურნირში ბელოვთან შეხვედრა ჩვენმა ფალავანმა მოიგო, მაგრამ მაშინ საკავშირო ნაკრებს სათავეში ქართველი ედგა, რომელმაც უპირატესობა რუსს მიანიჭა. კარტოზია რომ წავიყვანონ ოლიმპიადაზე, ვაითუ, ვერ გაიმარჯვოს, შემდეგ ხომ ნაციონალისტობას დამწამებენო. ბელოვმა კი ვერ გაამართლა ნაკრების ხელმძღვანელთა იმედები.

● მსგავსი შემთხვევები ფეხბურთშიც ხშირად ყოფილა. ქართულ ფეხბურთს ტალანტებს რა გამოუელევდა, ნაკრებში კი, თუ ათი თავით მაღლა არ იდგნენ თავიანთ კონკურენტზე, დიდ სარბიელზე გამოსვლაზე ოცნებაც არ შეეძლოთ. მსჯელობისგან ხომ საერთოდ სიცოცხლე გვქონდა გამწარებული. ბევრჯერ გვყოლია ძლიერი და ტალანტიანი კოლექტივები, მაგრამ ჩემპიონობას მხოლოდ ორჯერ მივაღწიეთ, თანხის ფინანსებიც წაგვაგებინეს.

— არც უმაგისობა იყო, ამიტომ, იძულებულნი ვიყავით, ზოგჯერ მუქარით, ზოგჯერ დაყვავებით, ხანაც საჩუქრით მოგველობ მსჯი. რას გულისხმობდა ეს? არ დაეჩაგრათ ჩვენი „დინამო“ და ობიექტურად ემსჯათ. თუ მსჯი ისეთი გამოდგებოდა, რომ მისი რესპუბლიკის გუნდიც ჩვენსავით „ცენტრის“ დაწოლის გამო იჩაგრებოდა, ჯავრს იმით იყრიდა, ცოტათი ქართველებისკენაც გადმოიხრებოდა ხოლმე.

ერთ შემთხვევას გიამბობთ: ქუთაისის „ტორპედო“ რომ პირველად უმაღლეს ლიგაში გადავიდა, მაშინ სამ გუნდს შორის გამარჯვებულს

1961 წელი. კიშინიოვის სტადიონი. უმაღლეს ლიგაში გადახასვლელ ტურნირში ქუთაისელმა ფეხბურთელებმა ეს-ეს არის ტალინის „კალევი“ დაამარცხეს... ტრიბუნაზე ხხედან (პირველ რიგში, მარცხნიდან): სახელმწიფო მწვრთნელი დავით ცომაია და სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ თავმჯდომარე თენგიზ კაპანაძე. მეორე რიგში — „ლელოს“ კორესპონდენტი ბიჭიკო ქორქია, მხახიობი ეროხი მანჯგალაძე, ფურნალისტი ბაკურ ბახტურიძე და მიხეილ ლაზიშვილი.

გუნდებს ეთამაშებოდა. ძირითადი ბრძოლა კი არა, ჩვენსა მომდინარეობდა და მსჯი არაფერზე არ რეაგირებდა.

● ახლანდელ გუნდებს დიდი საწარმოების ხელმძღვანელები მფარველობენ, პრემიებიც საკმაოდ ხოლიდური აქვთ. თქვენ თუ წაახალისებდით ხოლმე ფეხბურთელებს?

— ყველაზე მთავარი ის იყო, რომ თვითონ ფეხბურთელები არ იყვნენ ფულით დაინტერესებული. მათთვის მთავარი ბურთის თამაში იყო და კიდევ ის, რომ უცხოტომელზე გაემარჯვათ. ერთხელ, 1964 წელს, ჩემპიონობამდე, ბიჭებმა მეტად საპასუხისმგებლო მატჩი ალმა-ათელებთან ფრედ დაამთავრეს და მაშინ დავაჯილდოვეთ, თითოს 150 თუ 200 მანეთი შეხვდა. მაგრამ მაშინ ამ ფულს ბევრად მეტი ძალა ჰქონდა, ვიდრე ახლა.

● იმ პერიოდის „დინამოსთან“ მეგობრობდით. კვლავ სლავა მეტრეველის ამახსენებდეთ ინტერვიუ მინდა გავიხსენო. მაშინ ბატონმა სლავამ გვიამბო, როგორ ეხუმრეთ თქვენ და მიხეილ მესხი ხახლში და როგორი კაცური სიტყვით შიმართა მას მესხმა. თქვენი მიხეილთან მეგობრობა და ერთად ყოფნა, ალბათ ამით არ დამთავრებულა...

— არა, ამით როგორ დამთავრდებოდა, როცა ნათელმირონობა გვაკავშირებს ერთმანეთთან. უმცროსი მიშას ნათლია ვარ. იცით, როგორც ნიჭიერთა უმრავლესობა, მიხეილ მესხიც ურეჟიმო კაცი იყო და ჩემი მასთან თავდაპირველი დამოკიდებულებაც ძიძაობას უფრო ემსგავსებოდა. ასევე იყო ეროსი მანჯგალაძეც, რომელიც მიხეილ მესხს ქართული ფეხბურთის ფენომენად მიიჩნევდა და მის ყოველ კარგ თამაშზე ბავშვივით აღფრთოვანდებოდა ხოლმე.

● გისმენთ და, სიმართლე გითხრათ, მიკვირს: ახლანდელ დროში „რახაცა გახცემ“ პრინციპი მივიწყებული და ცხოვრებისათვის თითქოს გამოუსადეგარია; თქვენ კი ამ ნათელი გზით სიარული ირჩიეთ. ვინ ჩაგინერგათ?

— ოჯახში მატერიალურად არასდროს გვიჭირდა. მამა მეღვინე იყო და რუსეთში მუშაობდა. ბავშვობიდან გვაჩვევდა გაჭირვებულის დახმარებას, დავრდომილის ფეხზე წამოყენებას, საერთოდ, სიკეთეს. მეც და ჩემი ძმებიც ყოველთვის ამ პრინციპით ვცხოვრობდით — ჩვენი თავის იქით ყოველთვის ვიღაცას ვხედავდით. ჩემი ძმები, რა თქმა უნდა, მხარში მედგნენ ყოველთვის; მარტო მე და ირაკლი რას გავწვდებოდით, მაგრამ ჩვენ ფედერაციის წევრებიც რომ ვიყავით, ამიტომ უფრო ვჩანდით. სპორტსმენებისა არ იყოს, ჩვენც, სანამ მყარად ვიდექით ჩვენსავე მიწაზე, „გვიყენებდნენ“, შემდეგ კი, როცა დევნილთა შორის ძმები ლაზიშვილებიც აღმოჩნდნენ, როცა „ხალხის მტრებად“ გამოგვაცხადეს, ფედერაციიდანაც გაგვრიცხეს და... ცეკაჯ ბიუროზე ერთ-ერთმა მდივანმა ისიც თქვა, ლაზიშვილი ფეხბურთს ეფარება და საქართველო დააქციაო. საქართველო ვინ დააქცია, ყველა კარგად ხედავს, ხედავს შედეგით. მარტო ჩვენს დევნას ვინ ჩივის, „ხალხის მტრის“ იარლიყი ჩვენს შვილებსაც მიაკერეს. ჩემი ვაჟი მორაგბე გახლდათ. უნგრეთში უნდა წასულიყო მორაგბეთა გუნდი, მაშინ საქართველოს კომკავშირის ცეკას მეორე მდივანმა ლაზიშვილის გვარი რომ წაიკითხა, სიიდან ამოშალა. შემდეგ დაიბარა და განუმარტა: ხომ იცი, ხელისუფლების დამოკიდებულება ბიძაკვენების მიმართ, ამიტომ ვერ გაგიშვებთო... გუნდის მწვრთნელის ნოდარ ყიფიანის და კაპიტნის გელა მიქაბერიძის დაჟინებული მოთხოვნით, ჩემს ვაჟს საზღვარგარეთ ტურნირზე წასვლის უფლება მისცეს.

მთელი ჩემი დანაშაული კი ის იყო, ცუდ დროს ვაკეთებდი სასიკეთო საქმეს. მთელი კაცობრიობის ისტორიის მანძილზე, მეცენატეობას ქებას და ხოტბას ასხამდნენ, გარდა საბჭოთა ქვეყნისა, მეც სხვა არაფერი დამრჩენოდა, უთქმელად უნდა წავსულიყავი საარბიელიდან.

ესაუბრა ინგა ჩახვაშვილი.

ინფორმაცია

საქართველოს ჭაბუკ (1974-1976 წლებში დაბადებულნი) ძიუდოისტთა პირად-გუნდური პირველობა, რომელიც ახლახან გაიმართა თელავში, წინ უსწრებდა ანზორ კიკნაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირს (ტრადიციულად, მარტში რომ ტარდება ჩვენს დედაქალაქში), ასე რომ, ამ ასპარეზობაში ჩვენს მწვრთნელებს კიდევ ერთხელ მიეცათ რეზერვების დათვალიერების საშუალება — შეირჩნენ ის მოჭიდავეები, რომლებიც ძალებს მოსინჯავენ ა. კიკნაძის სახელობის ტურნირზე. აქვე ვიტყვით, რომ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ საკავშირო პირველობების გამარჯვებულნი და პრიზორებიც.

შეჯიბრებაში გუნდური პირველი ადგილი დაიკავა სპორტსაზოგადოება „მართვემ“, მეორე — „შევარდენმა“, მესამე — „დინამომ“. გაგაცნობთ გამარჯვებულებს წონითი კატეგორიების მიხედვით:

49 კგ. გია ჯაფარიძე („შევარდენი“, მესტია), **53 კგ.** ავთანდილ ბერიძე („დინამო“, ყვარელი), **57 კგ.** დავით ფუტხაშვილი („შევარდენი“, გორი), **62 კგ.** გიორგი გავაშელიშვილი („მართვე, თბილისი), **68 კგ.** ზურაბ მაისურაძე („შევარდენი“, გორი), **75 კგ.** მამუკა ლუზარაული („მართვე“, ახმეტა), **83 კგ.** მამუკა ბოტკოველი, **90 კგ.** გივი ფარადაშვილი (ორივე — „მართვე“, თელავი), **+90 კგ.** ალექსანდრე დავითაშვილი („მართვე“, ახმეტა).

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

გარი ლინეკერი

როდესაც ლაპარაკია თანამედროვე ფეხბურთის ყველაზე შედეგიან ოსტატებზე, უფრო ხშირად ინგლისელ გარი ლინეკერს ასახელებენ.

ლინეკერი, რომელმაც სახელი გაითქვა ორ უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატზე, დაიბადა ლესტერში 1960 წლის 30 ნოემბერს. 18 წლის ასაკში „ლესტერ სიტიში“ დაიწყო თამაში, რომელიც ამ დროს ინგლისის მეორე ლიგაში გამოდიოდა. მწვრთნელები მალე დარწმუნდნენ, რომ დებიუტანტს ბევრი რამ შეეძლო. სწორედ მისი გოლების წყალობით დაუბრუნდა „ლესტერ სიტი“ პირველ ლიგას. ეს, რა თქმა უნდა, ინგლისის საუკეთესო კლუბების ხელმძღვანელებს არ გამოეპარათ. ლინეკერის შესაძენად მთელი აუქციონი გაიმართა, რაც იმით დამთავრდა, რომ ჰაბუკი ფეხბურთელი „ევერტონში“ გადაბარგდა, თუმცა „ლივერპულიც“ დიდად იყო მონდომებული. „ევერტონის“ გულშემატკივრები თვალნათლივ დარწმუნდნენ, რა ყოფილა ლინეკერი: „ევერტონი“ ინგლისის თასს დაეუფლა, ჩემპიონიც გახდა, თასების მფლობელთა თასის გათამაშებაშიც გაიმარჯვა. ყველაფერი, რა თქმა უნდა, ლინეკერს არ მიეწერებოდა, მაგრამ მისმა სნაიპერულმა ოსტატობამ რომ გუნდს ბევრი შესძინა, ეს ცხადზე უცხადესი იყო. 1986 წელმა ლინეკერს საყოველთაო აღიარება მოუტანა: იგი ინგლისის ლიგის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე გახდა, მსოფლიო ჩემპიონატში ყველაზე მეტი გოლი გაიტანა, დასახელეს ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელად, „ოქროს ბურთის“ ტრადიციულ კონკურსზე კი მეორე იყო და „ვერცხლის ბურთით“ დაჯილდოვდა. დიახ, ეს ყველაფერი ერთ სეზონში მოხდა...

ლინეკერი თავდაპირველად მარცხენა გარემარბი იყო, შემდეგ კი თავდასხმის ცენტრში გადავიდა. ინგლისის ნაკრებში პირველად 1984 წლის 26 მაისს ითამაშა და იმ დროიდან მოყოლებული, თუ დაშავებული არ არის, გამოდის ნაკრების შემადგენლობაში. თუ ყველაფერი კარგად იქნება და რაიმე სერიოზული ტრავმა არ მიიღო, ლინეკერს შეეძლება ე. წ. ასიანთა კლუბში მოხვედრაზეც კი იფიქროს, სადაც დღეისათვის ინგლისელთაგან მური, ბ. ჩარლტონი, რაიტი და შილტონი არიან. შესაძლოა, ლინეკერმა მათ გაუსწროს კიდეც.

ის, რომ ინგლისის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატებში ურიგოდ არ გამოდის, ბევრს ძირითადად ლინეკერის დამსახურებად მიაჩნია. ძალიან კარგად თამაშობდა იგი მექსიკაში. პოლონელებთან შეხვედრაში (3:0) სნაიპერმა ჰეთ-თრიკი შეასრულა, რაც მსოფლიო ჩემპიონატისთვის, დიახაც, უჩვეულო მოვლენაა; პარაგვაელებთან (3:0) ორი ბურთი გაიტანა, ერთიც — არგენტინელებთან (1:2) და ამ 6 გოლით მსოფლიო პირველობის „ოქროს ბურთი“ მოიპოვა.

ევროპის 1988 წლის პირველობაზე მოუშუშებელი ტრავმის გამო ლინეკერს თამაში არ გამოუვიდა. მაგრამ მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატში მან ყველა — 7 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 4 გოლი გაიტანა. რა თქმა უნდა, მეოთხე ადგილი ინგლისის ნაკრებისათვის ურიგო შედეგი არ იყო.

როგორ წარმმართა ლინეკერის კარიერა საკლუბო გუნდებში? 1986 წელს, მექსიკიდან დაბრუნების შემდეგ, მისთვის ახალი ცხოვრება დაიწყო. „ევერტონმა“ ძალიან კარგად იცოდა, რას ნიშნავდა ასეთი თავდამსხმელის შენარჩუნება, მაგრამ ვერ გაუძლო ცდუნებას და გარი ზღაპრულ ფასად „ბარსელონას“ მიჰყიდა. ლინეკერს ესპანეთში ბურთის გატანა არ დავიწყებია, მაგრამ გულშემატკივრები მაინც უკმაყოფილონი იყვნენ. „ბარსელონას“ ქომაგებს არ მოსწონდათ ის, რომ ჩემპიონობას ყოველ წელს მადრიდის „რეალი“ ეუფლებოდა. როცა კატალონიის გუნდს სათავეში კრუიფი ჩაუდგა, მან გულშემატკივრებს საზეიმოდ აღუთქვა, რომ „ბარსელონა“ პირველ ადგილზე გავიდოდა. ლინეკერი ვერ შეეწყო ახალ მწვრთნელს და სამშობლოში დაბრუნდა. ახლა იგი ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურში“ გამოდის, კვლავ სხარტი და მოქნილია, მანევრული, ტექნიკური და, რაც მთავარია, ყოველთვის შემართული მეტოქის კართან.

ის, რომ ლინეკერს, ისევე როგორც ოდესღაც გერდ მიულერს, ამდენი ბურთი გააქვს, ცხადია, საყოველთაო ინტერესს იწვევს. რაც სხვებისათვის მიუღწეველია, ინგლისელს, ყოველ შემთხვევაში გარეგნულად, ძალიან იოლად გამოუდის. „როგორ ხდება ეს?“ — ძალიან ხშირად ეკითხებიან მას. „რა ვიცი, ეტყობა, შეექვსე გრძნობის წყალობით“.

გივი თორელი.

ევროპის ჩემპიონატი: ცოტა რამ ისტორიიდან

პირველი

თავიანი არსებობის 33 წლის მანძილზე ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში თანდათან დაიხვეწა და სტაბილური ხასიათი მიიღო. დროთა განმავლობაში იგი ძალზე პოპულარულ და პრესტიჟულ ტურნირად იქცა.

1992 წელს შვედეთის ქალაქებში ჩატარდება რიგით მე-9 ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი.

მკითხველს ვთავაზობთ მცირე ექსკურსს ევროპის ყველაზე პოპულარული საფეხბურთო შეჯიბრების ისტორიიდან.

ევროპის თასის პირველი გათამაშება (1958-60 წლები), რომლის თოსანი გახლდათ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ანრი დელონე, მოეწყო ოლიმპიური სისტემით. რადგან პირველ გათამაშებაში მონაწილეობა მიიღო ევროპის 17 ქვეყნის ეროვნულმა ნაკრებმა გუნდმა, საჭირო გახდა ორი საკვალიფიკაციო მატჩის გამართვა. ყენესყრით ერთმანეთს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკია და ირლანდია — 4:0, 0:2.

ამრიგად, 16 გუნდი დაწყვილდა. მერვედფინალური და მეოთხედფინალური თამაშები ჩატარდა მიმოსვლით (შინ და სტუმრად). შეჯიბრების დასკვნითი ეტაპი, ე. ი. ნახევარფინალები და ფინალი, ჩატარდა საფრანგეთის ქალაქებში: პარიზსა და მარსელში.

მერვედფინალები: სსრკ — უნგრეთი 3:1, 1:0; საფრანგეთი — საბერძნეთი 7:1, 1:1; რუმინეთი — თურქეთი 3:0, 0:2; ავსტრია — ნორვეგია 1:0, 5:2; იუგოსლავია — ბულგარეთი 2:0, 1:1; გდრ — პორტუგალია 0:2, 2:3; პოლონეთი — ესპანეთი 2:4, 0:3; დანია — ჩეხოსლოვაკია 2:2, 1:5.

მეოთხედფინალები: სსრკ — ესპანეთი (ესპანეთმა უარი თქვა თამაშზე), საფრანგეთი — ავსტრია 5:2, 4:2; პორტუგალია — იუგოსლავია 2:1, 1:5; ჩეხოსლოვაკია — რუმინეთი 2:0, 3:0.

პირველი ნახევარფინალი: სსრკ — ჩეხოსლოვაკია — 3:0, ჩატარდა მარსელში. მეორე ნახევარფინალი: იუგოსლავია — საფრანგეთი — 5:4, გაიმართა პარიზში. თამაში მე-3 ადგილისთვის გაიმართა მარსელში. ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა ანგარიშით 2:0 მოუგო საფრანგეთის გუნდს.

და აი, 1960 წელი. 10 ივლისი. პირველი გათამაშების კულმინაცია, პირველი ფინალური მატჩი.

სსრკ — იუგოსლავია 2:1, (0:1, 1:0). დამატებითი დრო 1:0. ეს თამაში გაიმართა პარიზის „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე. მას 18 000 მაყურებელი დაესწრო. მსაჯები: ა. ელისი, ნ. ასტონი, დ. ფინეი (ყველა—ინგლისი). გუნდების შემადგენლობა:

სსრკ — იაშინი, ჩოხელი, მასლიონკინი, კრუტიკოვი, ვოინოვი, ნეტო, მეტრეველი, ვ. ივანოვი, პონედელნიკი, ბუბუკინი, მესხი.

მწვრთნელები: კაჩალინი, გულიაევი.

იუგოსლავია — ვიდინიჩი, დურკოვიჩი, იუსუფი, ჟანეტიჩი, მილადინოვიჩი, პერუშიჩი, შეკულარაცი, ერკოვიჩი, გალიჩი, მატუში, კოსტიჩი.

მწვრთნელები: ტირნანიჩი, ჩირიჩი.

გოლები: მ. გალიჩი (43 წთ), ს. მეტრეველი (49), ვ. პონედელნიკი (112).

ფეხბურთის ქართველი ქომაგებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ევროპის ჩემპიონები გახდნენ მ. მესხი, ს. მეტრეველი, გ. ჩოხელი. შემდგომში საბჭოთა კავშირის ნაკრები ევროპის ვიცე-ჩემპიონობას ვეღარ გასცდა. ქართველი ფეხბურთელებიდან ევროპის ვიცე-ჩემპიონები იყვნენ: მ. ხურცილავა, რ. ძოძუაშვილი, გ. ნოდია (1972 წელი) და თ. სულაქველიძე (1988 წელი).

ევროპის თასის პირველი გათამაშების ბომბარდირი გახდა ჩეხოსლოვაკიელი ტ. ბუბენჩიკი, რომელმაც 5 ბურთი გაიტანა.

მიხეილ საბახტარიშვილი.

მ. კაკაბაძის სტუდიის მსმენელი.

მარადონას საქმე გართულდა

არგენტინელი ფეხბურთელის დიეგო მარადონას საქმე მნიშვნელოვნად გართულდა. მარადონას ბრალდება წაუყენეს ნარკოტიკებით მოვაჭრეებთან ურთიერთობაზე. მან კატეგორიულად უარყო ეს ხმები, მაგრამ ბოლო ხანების ძიება აშკარად ამხელს ფეხბურთელს დანაშაულში.

იტალიიდან იტყობინებიან, რომ მარადონა პირველ დაკითხვაზე გამოიძახეს, სადაც პროკურორმა მას ბრალდებად წაუყენა, რომ ფეხბურთელს შეხვედრა ჰქონდა მეძავებთან და იგი მათ გასაყიდად სთავაზობდა კოკაინს. არგენტინელმა ფეხბურთელმა დაადასტურა თავისი კავშირი მეძავებთან, მაგრამ კატეგორიული უარი თქვა ნარკოტიკებზე. აი, მისი სიტყვები დაკითხვაზე: „ქალები — კი, კოკაინი— არა“.

მაგრამ პროკურატურას უკვე აქვს მარადონას წინააღმეგე სამი მეძავი ქალის ჩვენება, რომლებიც ადასტურებენ, რომ ფეხბურთელთან შეხვედრისას მათ მიიღეს კოკაინის ფხვნილი. თუ ეს ჩვენებები დადასტურდა, მარადონას დიდი უსიამოვნებები მოელის.

„ფეხბურთის მეფის“ მუზეუმი

ბრაზილიის ქალაქ რიო-დე-ჟანეიროში განზრახული აქვთ „ფეხბურთის მეფის“ — პელეს მუზეუმის გახსნა, სადაც გამოფენენ გამოჩენილი ფეხბურთელის მიერ სხვადასხვა დროს მოპოვებულ ათასზე მეტ ჯილდოს.

ექსპონატთა შორის საგანგებო ადგილზე მოათავსებენ ჟიულ რიმეს თასის ზუსტ ასლს, რომელიც ბრაზილიის ნაკრებს სამუდამოდ მიეკუთვნა 1958, 1962 და 1970 წლებში მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებისთვის. აგრეთვე, ჯილდოს, რომელიც პელეს მიენიჭა, როგორც სუპერ-ჯუნის საუკეთესო სპორტსმენს.

აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოცხადდა, რომ მუზეუმის გახსნა დაახლოებით 2-2,5 მილიონი დოლარი დაჯდება. ეს იქნება მოძრავი გამოფენა, რომლის ჩვენება განზრახულია ამერიკის შეერთებულ შტატებშიც მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში.

ან ჩემპიონობა, ან...

პოპულარული იტალიელი ფეხბურთელის რობერტო ბაჯოს ქალიშვილი ვალენტინა ჯერ 3 თვისაც არ შესრულებულა და უკვე 320 მილიონი ლირის შემოსავალი მოუტანია თავის სახელგანთქმულ მამას. სწორედ ეს თანხა გადაუხადეს ფეხბურთელს შვილის ფოტოსურათების გამოქვეყნების უფლებაში. — ძალიან მინდა, შევიძინოვილა ზღვის სანაპიროზე და, თუ „იუვენტუსი“ ვერ მოიპოვებს ჩემპიონობას და ვერ ავიღებ ფულად პრემიას, მე და ჩემი მეუღლე იძულებულნი გავხდებით, კიდევ ერთი შვილი ვიყოლიოთ. ფოტოგენურობის გარანტიას წინასწარ ვიძლევი — ხუმრობით განუცხადა ბაჯომ ჟურნალისტებს.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ბელგიელთა გამარჯვება

ბრიუსელი. აქ გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში (V ჯგუფი) ბელგიისა და ლუქსემბურგის ნაკრებ გუნდებს შორის. იგი დამთავრდა ბელგიელთა გამარჯვებით — 3:0. ბურთები გაიტანეს ერვინ ვანდერბერგმა, იან კულემანსმა და ენცო შიფომ.

აღნიშნულ ჯგუფში ლიდერობენ უელსელი ფეხბურთელები, რომლებსაც 4 ქულა აქვთ 2 თამაშის შემდეგ. მომდევნო ადგილებზე არიან გერმანიისა და ბელგიის გუნდები. ლუქსემბურგელებმა წააგეს სამივე შეხვედრა.

პელეს პოლიტიკური ამგზიციები

ბრაზილიის ახალი პრეზიდენტი კოლორ დი მელუ შარშან შეუდგა მოღვაწეობას. ჯერ, ცხადია, ადრეა იმაზე ლაპარაკი, როგორი იქნება მისი მმართველობის შედეგები, მაგრამ უკვე გამოჩნდა ერთი პიროვნება, რომელიც აქედანვე კრიტიკული თვალით უყურებს ახალ (და ახალგაზრდა) პრეზიდენტს. ეს კაცი გახლავთ პელე. როგორც „ფეხბურთის მეფემ“ ჟურნალისტებს განუცხადა, თვით აპირებს მონაწილეობა მიიღოს პრეზიდენტის მომავალ — 1994 წლის არჩევნებში. აქამდე პელე რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი არ ყოფილა, მაგრამ, როგორც მიმომხილველები თვლიან, თავისი პოლიტიკური შეხედულებებით იგი ძალიან ახლოა სოციალ-დემოკრატებთან.

ეს-ესაა შევიტყვეთ...

კრუიფს ოპერაცია გაუკეთეს!

განახლებულ კონტრაქტში — 4 მილიონი

ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი იოჰან კრუიფი, რომელიც ამჟამად ესპანეთის კლუბ „ბარსელონას“ ავარჯიშებს, გულის უკმარისობით „სან-ხორდის“ ჰოსპიტალში მიიყვანეს. იქ მას მიოკარდის ინფარქტი ჩამოუყალიბდა და საჭირო გახდა სასწრაფო ქირურგიული ჩარევა. ხუთშაბათს კრუიფს გაუკეთეს ოპერაცია, რომელიც 3 საათს გაგრძელდა. ეს ყველაფერი მოხდა ბარსელონაში.

ორიოლ ბონინი (ქირურგიული ბრიგადის უფროსი): „ოპერაციამ მშვენივრად ჩაიარა. შემდგომი გაუარესების შანსი, ფაქტობრივად, არ არსებობს. ყველაფერი გამოირკვევა უახლოესი 24 საათის განმავლობაში. თუ კრუიფი სიგარეტის წევას დაანებებს თავს, საკმაოდ დიდხანს იცოცხლებს, ვინაიდან, ოპერაცია რომ არ მივიღოთ მხედველობაში, იგი პრაქტიკულად ჯანმრთელი კაცია. ჰოსპიტალში ალბათ 8-10 დღეს დაჰყოფს.

ანტონ პარენა („ბარსელონას“ მენეჯერი): „კლუბი ძალზე მოხარულია, რომ კრუიფის ჯანმრთელობას აღარაფერი ემუქრება. საერთოდ, ეს სეზონი მისთვის იღბლიანი იყო („ბარსელონა“ უახლოეს მეტოქეს ეროვნულ ჩემპიონატში 8 ქულით უსწრებს) და, დარწმუნებული ვართ, გართულებები არც ამჯერად ექნება. ამას წინათ, მან განაახლა კონტრაქტი „ბარსელონასთან“. 2 წლით და საფასურად საკმაოდ სოლიდური თანხა მიიღო“.

(საკუთარი ინფორმაცია)

სურათზე: იოჰან კრუიფი.

სიუ ჟუნი — ერთადერთი პრეტენდენტი

ამ უკანასკნელ წლებში რამდენიმე საჭადრაკო ენციკლოპედია გამოიცა ჩეხურ, პოლონურ, რუსულ ენებზე. რა ცნობებს არ ნახავთ აქ, რას არ გაიგებთ. მაგრამ სიუ ჟუნის გვარის ძებნას ნუ დაიწყებთ — ასეთ მოჭადრაკეს ენციკლოპედიების ავტორები არ იცნობენ(!).

ჩვენ კი ვიცნობთ, ან მეტი რა გზა გვაქვს! სიუ ჟუნის აღზევება მართლაც ელვისებური იყო. სულ რაღაც ერთი წლის მანძილზე იგი ნაკლებ ცნობილი ოსტატიდან მსოფლიოს № 2 მოჭადრაკედ იქცა. გაზეთები ხშირად ასაბუთებენ ხოლმე „წლის მოჭადრაკეს“. ჩვენ რომ გვკითხონ, შარშანდელ „წლის მოჭადრაკედ“ სწორედ სიუ ჟუნს დავასახელებდით. მართლაც, სადაც კი ითამაშა, ყველგან თავი გამოიჩინა, 1990 წელიც „არ იკმარა“ და წარმატებები წლეულსაც გაგრძელა.

სიუ ჟუნი სულ 20 წლისაა. ალბათ სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ენციკლოპედიების „შეცდომა“. უცნაურზე უცნაურია, მაგრამ ჩინეთში, სადაც, როგორც ცნობილია, მრავალშვილიანი ოჯახების ტრადიციაა, იმგვარ მშობლებს თითქმის ვერ წააწყდებით, ამ დიდოსტატის მშობლები რომ არიან — მათ მხოლოდ ერთი შვილი ჰყავთ. დედა ინჟინერია, მამა — მოსამსახურე. ცხოვრობენ პეკინში. სიუ ჟუნი ჭადრაკს 10 წლის ასაკიდან თამაშობს, კვალიფიციური მწვრთნელებიც ჰყავს. 1986 წელს მან მოსკოვში ითამაშა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ნაკრებების მატჩში. 1988 წლამდე ჩინეთის № 1 მოჭადრაკედ ითვლებოდა დიდოსტატი ლიუ შილანი (იგი მსოფლიო ჩემპიონობის პრეტედენტთა შეჯიბრებაშიც მონაწილეობდა), რომელიც თავის ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, მაგრამ მისი ადგილი უკვე სიუ ჟუნმა დაიკავა. 1988 წელს იგი სალონიკის საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადაზეც მონაწილეობდა — ჩინეთის ნაკრებში მეორე დაფაზე ასპარეზობდა.

1989 წელს სიუ ჟუნი ჩინეთის ჩემპიონი გახდა, ამან გზა გაუწმინდა 19 წლის ოსტატს მსოფლიო პირველობის მორიგი ზონალური ტურნირისაკენ. შედეგმაც არ დააყოვნა — მან საზონთაშორისო ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვა. ეს უკვე სერიოზული განაცხადი იყო.

1990 წელი კი, როგორც ვთქვით, ახალგაზრდა ჩინელის ტრიუმფის წელია.

საზონთაშორისო ტურნირის 18 მონაწილე, პრეტენდენტთა ასპარეზობის სამი საგზურისათვის მალაზიის ქალაქ კუალა-ლუმპურში იბრძოდა. შეჯიბრებას არაერთი ფავორიტი ჰყავდა. რომ აღარაფერი ვთქვათ ნონა გაფრინდაშვილსა და ხანა ალექსანდრიაზე, სამეულში მოხვედრის მეტ-ნაკლები შესაძლებლობები ჰქონდათ მარტა ლიტინსკაიას, ნინო გურიელს, ანა ახშარუმოვას, ტატიანა ლემაჩკოს, სხვებსაც. ყოველ შემთხვევაში, შეჯიბრების დაწყებამდე სპეციალისტებისთვის რომ გეკითხათ, საგზურის პრეტენდენტებს შორის სიუ ჟუნს არავინ დაასახელებდა. სინამდვილეში კი, აი, რა მოხდა: გაფრინდაშვილმა შეჯიბრება დიდებულად წარმართა და 17 შესაძლებლიდან 13,5 ქულით პირველ ადგილზე გავიდა. მაგრამ ასევე უდავო იყო სიუ ჟუნის წარმატებაც, რომელმაც 12,5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. ახლა კი გადავხედოთ ჩინელის ცალკეულ მიღწევებს. იმ მოჭადრაკეებთან, რომლებიც სატურნირო ცხრილის პირველ ნახევარში აღმოჩნდნენ, მას მაინცდამაინც მაღალი შედეგებისთვის არ მიუღწევია, პირიქით — 8 პარტიიდან მხოლოდ 3,5 ქულა მოაგროვა. სამაგიეროდ, იმ მოჭადრაკეებთან, რომლებიც ცხრილის ქვედა ნახევარში განლაგდნენ, ჩინელმა ასპროცენტიან შედეგს მიაღწია —

სიუ ჟუნი

9 შეხვედრიდან ცხრავე მოიგო. ვნახოთ, ვისთან წააგო მან ამ ტურნირში — ნონა გაფრინდაშვილთან, მარტა ლიტინსკაიასთან, ძლიერ დანიელ ოსტატ ნინა ჰოიბერგთან; სამაგიეროდ, მოუგო დიდოსტატებს — ანა ახშარუმოვას (აშშ), ნანა ალექსანდრიას, ტატიანა ლემაჩკოს (შვეიცარია), მარინა მაკროპულოს — პოგორელოვაჩს (საბერძნეთი). ერთი სიტყვით, საზონთაშორისო ტურნირის დებიუტანტმა დიდ წარმატებას მიაღწია — ჭადრაკის ისტორიაში მეორედ (ლიუ შილანის შემდეგ) ჩინელი მოჭადრაკე მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ასპარეზობის მონაწილე გახდა.

კუალა-ლუმპურის ტურნირის მიმოხილვისას ნონა გაფრინდაშვილი წერდა: „სიუ ჟუნი (იგი მწვრთნელის გარეშე თამაშობდა) მეტად ნიჭიერი მოჭადრაკეა, დიდი მომავლის მქონე“. ეს სიტყვები შემდეგში, როგორც ვნახეთ, გამართლდა.

სიუ ჟუნი ჩინეთში ფიზკულტურული კოლეჯის მეორე კურსზე სწავლობს. სწავლა ფასიანია, მაგრამ რადგან სიუ ჟუნმა ჭადრაკში დიდ წარმატებებს მიაღწია, იგი განთავისუფლებულია გადასახადისგან. ბევრ ტურნირში ვერ თამაშობს, რადგან ამის საშუალება არა აქვს. საყურადღებოა, რომ დღემდე ევროპასა და აზიაში მხოლოდ 8 საერთაშორისო შეჯიბრებაში გამოსულა. როგორც ექსპერტები დარწმუნდნენ, ჩინელმა საჭადრაკო თეორია საკმაოდ კარგად იცის. კითხვაზე, თუ რომელ საჭადრაკო ლიტერატურას იყენებს თეორიული მომზადებისთვის, სიუ ჟუნმა დაასახელა იუგოსლავიური „ინფორმატორი“, რომელიც ბელგრადში წელიწადში ორჯერ გამოდის ცნობილი დიდოსტატის ალექსანდრ მატანოვიჩის რედაქციით და ნახევარი წლის განმავლობაში გათამაშებულ რჩეულ პარტიებს შეიცავს. გავიხსენოთ, რომ თავის დროზე იუგოსლავიური „ინფორმატორი“ რობერტ ფიშერის საყვარელი საჭადრაკო გამოცემა იყო და იქნებ ახლაც არის.

პრეტენდენტთა ტურნირზე გამგზავრების წინ სიუ ჟუნმა ჩინეთის პირველობაზე ითამაშა და მეორე ადგილზე გავიდა. სპორტულ შედეგს ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია, მთავარი იყო სათანადო ვარჯიში.

ჩვენ აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ ბორჯომში გამართულ პრეტენდენტების ტურნირზე, რომელიც არასრულყოფილი ფორმულით ჩატარდა. ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩინელმა აქაც გამოიჩინა თავი — 7 პარტიიდან 4,5 ქულით I-II ადგილები გაიყო ალისა მარიჩთან. მან მოუგო მარიჩს, იოსელიანს, დონალდსონსა და გაფრინდაშვილს, წააგო კახიანთან და გალიამოვასთან, ყაიმზე შეუთანხმდა კლიმოვა-რიჰტროვას.

აი, რას წერდა საერთაშორისო ოსტატი მიხაილ კონოპკა: „ამ ტურნირში დამსახურებულად გაიმარჯვეს სიუ ჟუნმა და ალისა მარიჩმა. მათ შეჯახებებს მშვენიერად წარმართეს. სიუ ჟუნმა (სეკუნდანტი — საერთაშორისო ოსტატი ხეხიან-ხუანი) კარგად იცის თეორია, თამაშობს აგრესიულად. ჩინეთში ახლა არაერთი ძლიერი მოჭადრაკეა და სულაც არ იქნება გასაოცარი, რომ პრეტენდენტთა მომდევნო ტურნირებზე ამ ქვეყნის ერთმა წარმომადგენელმა კი არა, ორმა ითამაშოს, ჩემთვის პირდაპირ მოულოდნელობა იქნება, მომავალ ოლიმპიადაზე ჩინეთის გუნდი მედლების გარეშე რომ დარჩეს...“.

და აკი, არც დარჩენილა! ჩინელები ნოვი სადის ოლიმპიადაზე მხოლოდ უნგრელებსა და საბჭოთა ნაკრებს ჩამორჩნენ და მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ. რა თქმა უნდა, დიდი ინტერესი გამოიწვია პირველ დაფაზე სიუ-ჟუნის თამაშმა. მან ყველა, თორმეტივე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და კვლავ ბრწყინვალე შედეგს მიაღწია — 11 ქულა მოაგროვა (78,5 პროცენტი). უკეთესი მონაცემები მხოლოდ ორ მოჭადრაკეს ჰქონდა: ჟუჟა პოლგარს — 11,5 ქულა 14-დან (82 პროცენტი) და ახალგაზრდა არგენტინელ ამურას — 8 ქულა 10-დან (80 პროცენტი).

ასეთი მიღწევების შემდეგ სიუ ჟუნი, რა თქმა უნდა, ფავორიტად ითვლებოდა პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში ალისა მარიჩთან და აი, დამაჯერებელი გამარჯვებაც — 4,5:2,5.

მაშ ასე, შემოდგომაზე საჭადრაკო სამყაროს საინტერესო მატჩი ელის. ერთმანეთის პირისპირ წარდგებიან მაია ჩიბურდანიძე და სიუ ჟუნი. ჩინელს ხშირად ეკითხებიან ამ მატჩის შესაძლო შედეგზე, მაგრამ სიუ ჟუნი პასუხისაგან თავს იკავებს.

ბიბი გამრეკელი

ფოტოკალეიდოსკოპი



სპორტული „ბიკინი“

ამერიკელი მოცურავე ქალი შელი ტეილორ-სმითი, რომელსაც თქვენ ხედავთ სურათზე 25-კილომეტრიან დისტანციაზე შეჯიბრებისათვის მზადებისას, საგენტო „დპა“-ს განცხადებით, მსოფლიოს პირველი ჩემპიონი გახდა ამ მარათონულ „ტრასაზე“ და... პირველი ქალი, რომელსაც მისცეს უფლება პერტში (ავსტრალია) გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე „ბიკინის“ ხაცურაო კოსტუმით გამოსულიყო.



„თეთრი ოლიმპიადის“ მონეტები

საფრანგეთში გამოუშვეს ალბერვილის ზამთრის XV ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი მონეტები. გთავაზობთ მათ რეპროდუქციას.

სერიოზული უმაწვილი

აშშ. ცნობილი მოჭიდავეების აი, ასეთი ხუთდუიმიანი ფიგურები წარმოადგინეს ნიუ-იორკში გამართულ სათამაშოების ყოველწლიურ ბაზრობაზე. ამერიკელ მოჭიდავეს სკოტ სტეინერს ბიცეფსზე უზის მინიატურული ფალავანი, რომელიც მასვე განასახიერებს.

ინფორმაცია

30 წლის ამერიკელი კომერსანტი ემილ მარკაკანიანი, რომელმაც ამ რამდენიმე ხნის წინათ შეიძინა იტალიის მეორე დივიზიონის საფეხბურთო კლუბი „ვეჩონა“, ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი გახდა იტალიის ლიგაში. ემილი წარმოშობით სომეხია; დაიბადა ირანში, არის აშშ-ის მოქალაქე და იტალიაში ფლობს რამდენიმე მაღაზიას და სადაზღვევო კომპანიას.

რედაქტორი

თენგიზ გაჩეჩილაძე

„სპორტლოტოს“ მოყვარულთათვის!

იმასთან დაკავშირებით, რომ „სპორტპროგნოზის“ მე-10 ტირაჟში ჩართული რამოდენიმე თამაში ჰოკეიში შედგება პარასკევს, ამ ტირაჟისათვის „სპორტპროგნოზის“ და „სპორტლოტოს“ ბილეთების „ბ3“ ნაწილების მიღება ქ. თბილისში სპორტული ლატარიების საწარმოს მთელს სარეალიზაციო ქსელში, მათ შორის ელიავას ქ. № 26 არსებულ ცენტრში და საფირმო ჯიხურებში დამთავრდება, 8 მარტს 12 საათზე.

საქსპორტლოტო.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაუგრძნობს დიდოსტატ ნანა ალექსანდრიას მამის

გიორგი ნესტორის ძე ალექსანდრიას

გარდაცვალების გამო.

„ლელოს“ ღღეკანდელ ნომერზე მორიგეობდა ო. ნოზაძე, კორექტორები: ც. ჩიტიშვილი, ქ. ქავთარაძე.

საქართველოს უურნალ-გაზეთების გამომცემლობა „ხალშობლის“ სტამბა. თბილისი, ს. ერისტავის ქ., 14. ოფსეტური ბეჭდვა „ფერადი ოფსეტური ბეჭდვა“ სიგნალი კორპუსში, ხიშინაულის ქ. 20.